

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N062/17<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*ეკატერინე ჯინჭარაძე (სტუდენტი)*

### 1. საქმის ფაქტები

ადვოკატი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა სამოქალაქო საქმეზე ჯერ პირველი ინსტანციის, შემდეგ სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა საჩივრის ავტორის მიმართ გამოთქვა შემდეგი ფრაზები: „აპელანტის წარმომადგენელი ზედმეტად ვრცლად და ნაკლებად შინაარსობრივად საუბრობს“; „მსგავსი დაბალი სტანდარტის მსჯელობას ძალზედ იშვიათად თუ შევხვდებით სასამართლოს პრაქტიკაში“; „ბევრჯერ ვცადე მოწინააღმდეგე მხარისათვის მისთვის გასაგებ ენაზე და ფორმატით ამეხსნა ის, რასაც ახსნა ისედაც არ სჭირდებოდა“; „ერთადერთი ხელჩასაჭიდი გარემოება, რომელიც აპელანტმა მხარემ აღმოაჩინა, არის ის, რომ ექსპერტის დასკვნაში ადგილი აქვს მექანიკურ შეცდომას“; „ერთი სიტყვით, ყველაფერი თანხვედრაშია, მისამართის გარდა, რაც მე პირადად მახსენებს ქართულ ანდაზას წყალწაღებულზე და ხავსზე“; „სააპელაციო საჩივარი შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აპელანტმა ახლა გამოიღვიძა“; „მსგავს ტექნიკურ შეცდომებზე გამოკიდება როგორც ჩანს აპელანტის წარმომადგენლის ჩვეული სტილია“; ადვოკატმა ეს ფრაზები მიიღო პირად შეურაცხყოფად და კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად.

### 2. პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საჩივრით მიმართა ადვოკატმა და მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო შემდეგი ნორმები: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1.

### 3. სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისამ განმარტა, რომ კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. თავად კოლეგიალობა მდგომარეობს საერთო საქმიანობის არსებობასა და გამოიხატება ამ დროს საერთო მიზნისკენ (პროფესიული განვითარება) ურთიერთპროფესიულ პატივისცემაში. ადვოკატები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ. ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიის შეფასებამდე განმარტა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების მნიშვნელობა.

კომისიამ განმარტა, რომ არსებობს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა გამოყენება ხდება შეფასებისას. საჩივრის ავტორი ადვოკატის მიერ მის პოზიციაში გამოყენებულია სუბიექტური შეფასების კრიტერიუმი. დისციპლინური კოლეგია არ არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობით დატვირთული, იგი წარმოადგენს პროფესია ადვოკატის დამცველ შემადგენლობას, გუნდს, რომელიც იცავს მას არაეთიკურად, არაპროფესიონალურად მოქმედი ადვოკატებისაგან, რა დროსაც მან მუდმივად უნდა ეძებოს ბალანსი, მათ შორის ისეთი უფლების ქვაკუთხედთან, როგორც სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლებაა. ადვოკატის პროფესია საკმაოდ რთული და კომპლექსურია,

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/uploads/publications/5c482bd6eef8f.pdf>

რადგან წარმოადგენს საზოგადოების დიდ ინტერესს, ადამიანი, რომელიც ირჩევს ამ პროფესიას მზად უნდა იყოს ისმინოს, მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს წარმოადგენს იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სააპელაციო შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მიმართ გამოთქმული ფრაზები მოიცავს აპელანტის წარმომადგენლის და სააპელაციო საჩივრის კრიტიკას, ეს არის ადვოკატის მოსაზრებები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და ემსახურება თავისი კლიენტის ინტერესების დაცვას. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ სააპელაციო შესაგებელში მითითებული ფრაზები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან აღნიშნული კომენტარები არ არის უხამსი, არ არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს და მიზნად არ ისახავს კოლეგის ღირების შელახვას.

#### **4. დასკვნა**

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ მსგავსი ფრაზების გამოყენება არ შეიძლება მოექცეს არაეთიკური ქცევის ფარგლებში და ჩაითვალოს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად. შესაბამისად, ადვოკატს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1.